10617/3-53/21 2 25102021

10617/3-53/21
25-10-2021

საქართველოს გენერალურ პროკურატურას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია თუ რამდენჯერ მიმართა პროკურატურამ სასამართლოს შუამდგომლობით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის საკითხზე 2017 წლიდან.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია გამოგვიგზავნოთ:

1. ჩაშლილად წლების მიხედვით;
2. განმარტოთ რამდენი შუამდგომლობა დააკმაყოფილა სასამართლომ და რამდენი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე თქვა უარი.
3. რამდენ შემთხვევაში დაიწყო გამოძიება გადაუდებელი აუცილებლობით მოსამართლის განჩინების გარეშე პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე და აქედან რამდენ შემთხვევაში ცნო მოსამართლემ ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ.
4. სისხლის სამართლის კოდექსის რომელ მუხლებს ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
The Prosecutor's Office of Georgia
The Office of the Prosecutor General of Georgia

KARR1370157298721

გორგასლის ქუჩა №24, 0114, თბილისი / 24, Gorgasali street, 0114, Tbilisi, Georgia
ტელ./Telephone: +995 (0) 32 2 405 377 E-mail:international@pog.gov.ge
Web: www.pog.gov.ge;

№13/72572 **01 / დეკემბერი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2021 წლის 25 ოქტომბრის N10617/3-53/21 წერილის პასუხად დანართის სახით გიგზავნით 2017-2021 წლების ინფორმაციას, იმ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, რომელზედაც საქართველოს პროკურატურა ახორციელებს სტატისტიკურ დამუშავებას.

დანართი: 02 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი